გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №4

ქ. გარდაბანი

6 აპრილი 2026 წელი 12[00] სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

რიგგარეშე სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი:

სამირ ხიალოვი
ვუგარ მამედოვი
გიორგი გურულიშვილი
ზურაბი ბენდელიანი
ლევან ნიჟარაძე
თამარი ხაჩიძე
ბეთქილი კახიანი
ისლამ მამედოვი
ანი მანჩხაშვილი
ლია მეტრეველი
თორნიკე ქავთარაძე
დავითი ებილაშვილი
ქართლოსი მამულაძე
ანა დადეშქელიანი
ოთარი გავაშელიშვილი
ფლორა ასკაროვა
შახადატ მეხრალიევი
კამრან ბაბაევი
არკადი ფანგანი
ხვიჩა ჩიტიაშვილი
გიორგი გამეზარდაშვილი
იოსები ძამნაშვილი
იუსუფ მელაძე
ზაქირ დაშდამიროვი
არაზ ვალიევი
ილხამ ბაირამოვი
ნიჩატ ისმაილოვი
საბაილ მამედოვი
მალხაზ ვახტანგიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგი მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი - რომან ონიანი.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ გედეხაურმა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ***რომან ონიანი***
თანამომხსენებელი: ***გიორგი გურულიშვილი***

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 30
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა მომხსენებელს სთხოვა, რომ საკითხი განსახილველად გამოეტანათ დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის საპროექტო დოკუმენტაციის ანალიზისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსმა - რომან ონიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ". კერძოდ:

1. სოფ. საცხენისში შიდა გზების რეაბილიტაცია - 1 189 134 ლარი;
2. სოფ. ახალსოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია - 614 549 ლარი.

შემდგომში საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროში წარდგენის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის, დანართის შესაბამისად.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს - **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30
წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №39 – **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი, გარდაბნის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი, ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **მიხეილ გედეხაური**